

2022-2023 სასწავლო წლის  
სტუდენტთა აკადემიური მიღწევების შეფასების სისტემა  
**საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა**  
**ზოგადი თერაპია (IV სემესტრი)**

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N3; 05/01/2007) შესაბამისად.

სტუდენტის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი შკალით. შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი საგამოცდო შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შუალედური შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით:

შეფასების მეთოდი/ნაწილი	ქულების რაოდენობა	განმარტება
აკადემიური აქტიურობა	≤32 ქულა;	სასწავლო თემის შესაბამისი საკითხის ირგვლივ თხრობით ჩამოყალიბებული დებულებების / მინარსის / მტკიცებების / განხილვების და/ან აღნიშნული საკითხის გამოკითხვის (პასუხები დასმულ შეკითხვებზე) შედეგების შეფასებით. აკადემიური აქტიურობის შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენს პროფესიული მიღწევილების გამოვლენა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრების სისიურე შეფასება ხდება მაქს. 4 ქულით. კურსის მიმდინარეობაში ასეთი შეფასება ხორციელდება 8-ჯერ
პრეზენტაცია	≤8 ქულა	თითოეულ სტუდენტს კურსის პირველ პრაქტიკულ მეცადინეობაზე მიეწოდება საპრეზენტაციო დავალება. ის შეეხება peer review კურსალში გამოქვეყნებულ კლინიკურ შემთხვევას, რომელიც შესაბამისი სასწავლო კურსის თემატური გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხებისა. თითოეულ სტუდენტს მათ მიერ შერჩეული თემის შესაბამისად მიეწოდება კლინიკური შემთხვევის აღწერილობა (peer review პუბლიკაცია). ყველა სტუდენტისთვის, ნებისმიერ თემატიკასთან მიმართებაში საპრეზენტაციო დავალება განისაზღვრება, როგორც: (1) კლინიკური პრობლემის შემადგენლების წარმოდგენა; (2) კლინიკური პრობლემების შესაბამისი დიაგნოსტიური კრიტერიუმების გამოყოფა; (3) შესაბამისი კლინიკური კვლევის მეთოდების ჩამოყალიბება; (4) კლინიკური პრობლემების განხილვისთვის მოკლე, ფოკუსირებული ლიტერატურული მიმოხილვას წარმოდგენა; (5) კლინიკური შემთხვევის მართვის პრობლემების დაკავშირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემებთან; (6) შეფასებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემების გადაწყვეტის თანამედროვე გზების განსაზღვრა და მოკლე ლიტერატურული მიმოხილვა; (7) დასკვნები. პრეზენტაციის შეფასება ხდება 8 ქულიანი შკალით
ჩათვლა /კოლოკვიუმები	≤20 ქულა	კურსის ბოლოს ჩატარდება 1 ჩათვლა - პრაქტიკული მეცადინეობების XI დღეს. ჩათვლა შეფასდება 20 ქულით.
სულ	≤60 ქულა	გამოითვლება აკადემიური აქტიურობის, პრეზენტაციის და ჩათვლა/კოლოკვიუმის შეფასების ქულათა ჯამით

სასწავლო კურსი მთავრდება დასკვნითი გამოცდით. გამოცდა ფასდება 40 ქულით.

**!!! გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა, ანუ შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას.**

საგამოცდო შეფასება შედგენილი იქნება ორი კომპონენტით: მრავალარჩევნიანი ტესტებით და ზეპირი გამოკითხვით შეფასების კომპონენტებისგან. შესაბამისად შეფასებები განხორციელდება ამ კომპონენტების ჯამური შედეგებით: მრავალარჩევნიანი ტესტებით შეფასების წილი არ აღემატება 16 ქულას, ისევე როგორც ზეპირი გამოკითხვის შედეგი - 24 ქულას.

შეფასების სისტემით დაშვებულია ხუთი სახის (დონის) დადებითი შეფასება:

- (A) ფრიალი –91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი –81-90 ქულა;
- (C) კარგი –71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა;
- (E) საკმარისი –51-60 ქულა;

შეფასების სისტემით დაშვებულია ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (F<sub>x</sub>) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – ≤40 ქულა - რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.